GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

ფინანსური ანგარიშგება

შპს ჯეოსთოუნი

2020 წლის 31 დეკემბერი

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად , პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობაა აგრეთვე პასუხისმგებელი ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ

PROJECT.MATERIAL.DESIGN

info@geostone.ge
www.geostone.ge

GEOSTONE LTD
GEOSTONE
405034412

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, რიდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

შპს ჯეოსთოუნი ფინანსური
ანგარიშგება
31 დეკემბერი 2020 წელი

შპს ჯეოსთოუნი * GEOSTONE LTD *
GEOSTONE
405034412

PROJECT.MATERIAL.DESIGN

info@geostone.ge
www.geostone.ge

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	37294	44445	232992
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	216317	140508	207887
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	202949	246168	75182
მარაგები	**375353**	**366949**	**279546**
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	375 353,00	366 949,00	279 546,00
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	187475	186773	186878
ძირითადი საშუალებები	2246400	2382539	1705917
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	**3 265 788,00**	**3 367 382,00**	**2 688 402,00**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0,00	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	122506	91740	59525
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	326 049,00	260 107,00	172 811,00
საგადასახადო ვალდებულებები	73757	115372	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	19715	19715	19715
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8 763 249,00	7 047 589,00	4 955 093,00
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2298128	1336085	687857
სულ ვალდებულებები	**11 603 404,00**	**8 870 608,00**	**5 895 001,00**
საკუთარი კაპიტალი			
საქციო კაპიტალი (შპს.ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1 499 999,00	1 499 999,00	1 499 999,00
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 10 100 417,00	- 7 266 027,00	- 4 969 400,00
გადაფასების რეზერვი	262 802,00	262 802,00	262 802,00
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	**-8337616**	**-5503226**	**-3206599**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**3 265 788,00**	**3 367 382,00**	**2 688 402,00**

Sps JeosTiuni finansuri
angariSgeba
31 dekemberi 2020 weli

PROJECT.MATERIAL.DESIGN

info@geostone.ge
www.geostone.ge

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	2020	2019
წეტო ამონაგები	485561	1027312
საქონლის გაყიდვიდან	466146	969411
მომსახურების გაწევიდან	19415	57901
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-331101	-631379
საწყისი მარაგები	0	279928
მარაგების შესყიდვა	0	718723
გადამუშავების დაწახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	154460	395933
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-493428	-683626
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-172429	-446294
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-748276	-561775
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-369922,00	-574046
სულ საოპერაციო ხარჯები	-1784055	-2265741
საოპერაციო მოგება	-1629595	-1869808
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-1204795	-426818
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-2834390	-2296626
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-2834390	-2296626
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უმრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პრ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2834390	-2296626
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-5503226	-3206599
ახალი აქციების გამოშვება (შპს.ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-8337616	-5503226

Sps leosTiuni finansuri
angariSgeba
31 dekemberi 2020 weli

PROJECT.MATERIAL.DESIGN

info@geostone.ge
www.geostone.ge

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა.	**31/12/2020**	**31/12/2019**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-691495	-1882607
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	680000	1694060
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	**-11495**	**-188547**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	44445	232992
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**32950**	**44445**

GEOSTONE

შპს ჯეოსთოუნ ფინანსური
ანგარიშგება
31 დეკემბერი 2020 წელი

PROJECT.MATERIAL.DESIGN

info@geostone.ge
www.geostone.ge

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეოსთოუნი (კომპანია) 2014 წელს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე მოიპოვებს და აწარმოებს ქვის პროდუქციას, დარეგისტრირებულია მისამართზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი №40.
სააქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ინვეკო და ჯეო გრო
არიან შპს ჯეოსთოუნის 40-40% წილის მფლობელები და დარჩენილი 20%-ის მფლობელია იტალიის მოქალაქე ვინჩენცო პორჩიელო.
კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 30 თანამშრომელს (2019: 30 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდეგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით (მსს ფასს სტანდარტი).

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge
405034412

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა

ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 3-ე შენიშვნაში.

2.5 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233 (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

GEOSTONE LTD
GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge
405034412

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები -	20 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები -	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი -	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები -	7 წელი

შპს ... ფინანსური ...
31 ... 2020

PROJECT.MATERIAL.DESIGN

შპს ჯეოსთოუნი * GEOSTONE *
GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge
405034412

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

3.2 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა. განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.3 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასააყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო სეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.4 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.
აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

GEOSTONE LTD
GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge
405034412

GEOSTONE
კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

3.5 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.
გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.
გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება. გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის

GEOSTONE LTD
GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge
405034412

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო

ვალდებულებისა და აქტივის სახზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge
405034412

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 *მოგებიდან გადასახადებით* არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.6 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია საბაჟო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

GEOSTONE
info@geostone.ge
www.geostone.ge

GEOSTONE

კახეთის გზატკეცილი N 40
0190, თბილისი, საქართველო
40, Kakheti Highway
0190, Tbilisi, Georgia

2 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშის წარდგენის შემდგომ ისეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

3 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

4 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი სათაო და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და მმართველი ხელმძღვანელობა.

5 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს შპს ინვეკო, შპს ჯეო გრო და ვინჩენცო პორჩიელო, რომელიც ფლობს კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%-ს.

6 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

ზედა რგოლის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში არ მიიღო ანაზღაურება.

info@geostone.ge
www.geostone.ge